სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ე.ტ.№115

ქ. თბილისი **18 აგვისტო 2021 წელი**

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“,** წარმოდგენილი დირექტორის - **გიორგი შუხოშვილის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „გამა+“,** წარმოდგენილი დირექტორის - **გაგა ქურასბედიანის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სატენდერო წინადადების საფუძველზე, **NAT210010611** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ ქ. ასპინძის და ქ. ახალციხის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონების სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულება (CPV-45200000) - შემდგომში სამუშაო.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს: **299’497.43 (ორას ოთხმოცდაცხრამეტიათას ოთხას)** ლარს.

2.2 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.4 ანგარიშსწორება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებული წესის შესაბამისად წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.6 მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის შეხედულებისამებრ, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი).

2.7 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც გაცემული იქნება საქართველოში ლიცენზირებული დაწესებულების მიერ და რომლის მოქმედების ვადაც 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადას;

2.8 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20 % (პროცენტი) ოდენობით.

2.9 აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება, ავანსის გაცემის შემდგომ წარმოდგენილი პირველივე შესრულებიდან სრულად.

2.10 შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.11 ავანსის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ.

2.12 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების, მათ შორის შემსყიდველთან შეთანხმებული შესრულებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის და საამისისოდ შერჩეული პირის (საზედამხედველო კომპანია) მიერ დადასტურებული აქტი.

2.13 გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე შემსყიდველთან შეთანხმებით.

2.14 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

2.15 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს ერთ წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

2.16 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ გადასარიცხი თანხიდან დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის (2,5%) დაბრუნება მოხდება სამუშაოს სრული დასრულებისა და შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი საგარანტიო ვადის (ერთი წლის) გასვლის და მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის შემდეგ. იმ

შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

2.17 იმ შემთხვევაში თუ, სხვადასხვა მიზეზების გამო მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ან უარს აცხადებს ზემოხსენებული კომისიის მიერ აქტში დაფიქსირებული დეფექტების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, შემსყიდველი ობიექტზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან ერთად შეაფასებს დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და მიმწოდებელს არ აუნაზღაურებს აღნიშნულ თანხას –შესრულებული სამუშაოების ღირებულების დაკავებული 5%-დან. თუ დეფექტების აღმოფხვის ხარჯისათვის საჭირო თანხა აღემატება დაკავებულ 5%, შემსყიდველი დამატებით დააკისრებს მიმწოდებელს ზემოაღნიშნული განსხვავების გადახდას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. სამუშაოს შესაბამისობა

3.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს საპროექტო დოკუმენტაციის, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, ახალი კორონა ვირუსთან დაკავშირებით ქვეყანაში დადგენილი მოთხოვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

3.2 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 4. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1 სამუშაოს მიღება ხორციელდება შესაბამისად ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნულ ადგილზე.

4.2 როგორც შუალედური, ასევე, საბოლოო შესრულებული სამუშაოების მიღებისა და დადასტურების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ანგარიშსწორებისათვის აუცილებელი დოკუმენტების (გადახდის სერთიფიკატი და დამატებული ღირებულების ანგარიშფაქტურა) თანდართვით.

4.3 მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ტექ-ზედამხედველის მიერ დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

4.4 ამ ხელშეკრულების ძალით შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის მიერ უშუალოდ საამისოდ შერჩეული პირი (საზედამხედველო კომპანია), რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე ყოველ თვეს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ. ტექზედამხედველი ამოწმებს სამუშაოთა მოცულობას ობიექტზე სამუშაოების დასრულების დროისათვის და მის მიერ სამუშაოთა მოცულობების დადასტურების შემთხვევაში გადასცემს სათანადო ინფორმაციას შემსყიდველს კომისიის ჩამოყალიბების მიზნით.

4.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს წარმოებისას კონკრეტულ ობიექტზე წარმოქმნილი ეკონომიის მიმართვა სხვა ობიექტზე დაუშვებელია.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **60 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2021 წლის 17 ოქტომბრისა,** ამასთან, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა (**არაუგვიანეს 2021 წლის 17 სექტემბრისა**) უნდა შესრულდეს სამუშაოების მთლიანი ღირებულების არანაკლებ 40%.

გ) მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი პირობები, რომელშიც ცვლილებების შეტანა დასაშვებია შემსყიდველის თანხმობით;

დ) მიმწოდებელი შუალედურად ან სამუშაოების დასრულების ბოლოს წარუდგენს შემსყიდველს ან მის მიერ საამისისოდ შერჩეული პირს (საზედამხედველო კომპანია) შესრულებულ სამუშაოს მისი მიღების მიზნით;

ე) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას იხელმძღვანელოს საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების მიხედვით;

ვ) ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა უზრუნველყოს სამუშაოების განსახორციელებლად აუცილებელი მობილიზაცია;

ზ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იქონიოს მუდმივი კავშირი შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან - ტექნიკურ დეპარტამენტთან;

თ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

ი) ანგარიშსწორებისას ყოველთვიურად მიუთითოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მთლიანი და ჯამური ღირებულება;

კ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, თანახმად საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;
ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.
5.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების ინსპექტირების მიზნით შერჩეული სხვა პირების მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები, რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების 2.17 პუნქტით გათვალისწინებული პირობა, თუ მიმწოდებელის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყონებლივ.
5.4 უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ კომისიური წესით შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოთა ღირებულება
5.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან - შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხს.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი
6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).
6.2 მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.
მუხლი 7. პასუხისმგებლობა
7.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 5% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.
7.2 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულებების 0.3 % პროცენტის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
7.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.4. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ორგანიზაცია დამატებით დაარღვევს ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტითა და 5.5 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია მის მიმართ აამოქმედოს მე-7 მუხლის 7.1 პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომა.
7.5 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში შესრულებული იქნება სამუშაოს მთლიანი ღირებულების მხოლოდ 30 % ან ნაკლები, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება, გამოითხოვოს საავანსო თანხა (წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში), მოსთხოვოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 5% გადახდა და მიმართოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პირის შავ სიაში რეგისტრაციის თაობაზე.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხ-მებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.
8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება,თუ:
ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);
ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;
დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;
ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული ვადა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

მუხლი 9. უფლებების გადაცემა
9.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
9.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 10. შეტყობინება
10.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 11. ინსპექტირება
11.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას, მათ შორის კონტრაქტით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ტექნიკური დეპარტამენტის ქვედანაყოფი- ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება და აგრეთვე, შემსყიდველის მიერ საამისისოდ შერჩეული პირი (საზედამხედველო კომპანია).
11.2 საჭიროების შემთხვევაში, ობიექტზე არსებული ვითარების შესახებ დამატებით სიტყვიერ ან წერილობითი ხასიათის ინფორმაციას შემსყიდველი ორგანიზაციის ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას აწვდის შემსყიდველის სტრუქტურული ერთეულის - რეგიონული მართვის დეპარტამენტის რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინატორები შესაბამისი რეგიონიდან.
11.3 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.
11.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
11.5 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი და კონტროლი ევალება შემსყიდველი ორგანიზაციის ტექნიკურ დეპარტამენტს , ხოლო ფინანსური მონიტორინგი კი – ეკონომიკური მართვის დეპარტამენტს .
11.6 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
11.7 სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი აწარმოებს კონტროლს საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების თანახმად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

მუხლი 12. სხვა პირობები
12.1 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.
12.2 იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
12.3 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
12.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
12.5 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.7 მიმწოდებლის საატენდერო წინადადება (საკვალიფიკაციო მონაცემები, სამუშაოების შესრულების გრაფიკი, ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა, ტექნიკური პირობები _ განმარტებითი ბარათი; ნახაზები; სპეციფიკაციები და სხვა დოკუმენტაცია) წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 13. გარანტია

13.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ხელშეკრულების დადებამდე მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოში ლიცენზირებული დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია, რომლის თანხის ოდენობა განისაზღვრა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 9%-ის ოდენობით. გარანტის ძალით შემსყიდველს აქვს უფლება გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.

13.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი. გარანტიით გათვალისწინებული თანხის შემსყიდველის მხრიდან გამოთხოვის შემთხვევაში გარანტის მიერ გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება უნდა მოხდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთანავე, შემსყიდველს არ უნდა ეკისრებოდეს რაიმე დამატებითი მტკიცებულების წარდგენის ვალდებულება.

13.3 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენების შემთხვევაში.

13.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუდასტუროს მიმწოდებელსა და გარანტს ხელშეკრულების შესრულება.

13.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე – **2021 წლის 17 ნოემბრის** ჩათვლით. ხელშეკრულების ვადის ამოწურვის მიუხედავად, ძალაში რჩება პირობა 2.16 პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო ვადასთან დაკავშირებით.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, მისამართი: ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №14; საიდენტიფიკაციო კოდი 404942470, საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE51TB7161936080100005.

George Shukhoshvili

Digitally signed by George Shukhoshvili
Date: 2021.08.18 15:12:46 +04'00'

გიორგი შუხოშვილი

მიმწოდებელი:

შპს გამა+, მისამართი: ლენტეხის რაიონი, ს. ბაბილი, მე–5, II ჩიხი,10; საიდენტიფიკაციო კოდი: 434066379. საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა GE59BG0000000877890100

გაგა ქურასბედიანი

Gaga Kurasbediani 27001003185

Digitally signed by Gaga Kurasbediani
Date: 2021.08.18 13:02:30

დანართი

ქ. ახალციხის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის რეაბილიტაციის სამუშაოები

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

შენაკრები ხარჯთაღრიცხვა

ქ. ახალციხის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის რეაბილიტაციის სამუშაოები

#	საფუძველი	დასახელება	ღირებულება, ლარი
		თავი I.	
		მშენებლობის ძირითადი ობიექტები	
1	ლოკალური ხარჯთაღრიცხვა # 1	ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება და საფარები	**141890.29**
2	ლოკალური ხარჯთაღრიცხვა # 2	შემოღობვის რეაბილიტაცია	**20366.80**
3	ლოკალური ხარჯთაღრიცხვა # 3	ფანჩატური	**4198.15**
4	ლოკალური ხარჯთაღრიცხვა # 4	ელ. სამონტაჟო სამუშაოები ფანჩატურზე	**1129.19**
5	ლოკალური ხარჯთაღრიცხვა # 5	სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების სამღებრო სამუშაოები	**394.78**
6	ლოკალური ხარჯთაღრიცხვა # 6	ინფრასტრუქტურული ობიექტების დემონტაჟი დმანისის პოლიგონზე და გადმოტანა	**1797.08**
		სულ, თავი I	**169776.30**
		გაუთვალისწინებელი ხარჯები, 3.0%	**5093.29**
		სულ	**174869.59**
		დ. ღ. გ. 18.0%	**31476.53**
		სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	**206346.11**

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა #1

ობიექტი: ქ. ახალციხიხ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის რეაბილიტაციის სამუშაოები

ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება და საფარები

#	სამუშაოს დასახელება	განზ.	მოცულ.	ღირებულება, ლარი	
				ერთ.	სულ
1	2	3	4	5	6
	თავი I. მიწის სამუშაოები ნარჩენების იზოლაციაზე და საიზოლაციო გრუნტის სამარაგე კავალიერების მოწყობაზე				
1	გრუნტის (IIIკატ.) დამუშავება ექსკავატორით, ადგილზე დაყრით	მ3	20126.00	3.00	60378.00
2	საიზოლაციო გრუნტის (III კატ.) გადატანა და მოსწორება, ბულდოზერით, 170 მ-მანძილზე	მ3	5140.00	1.00	5140.00
3	საიზოლაციო გრუნტის შემკვრივება ვიბროსატკეპნით, ერთ ადგილზე ოთხი გავლით, მორწყვის გარეშე.	მ3	5140.00	1.00	5140.00
4	საიზოლაციო გრუნტის ფენის ზედაპირის მოშანდაკება	მ2	17133.00	0.35	5996.55
5	გრუნტის (III კატ.) გადატანა, ბულდოზერით, 150 მ-მანძილზე, სამარაგე კავალიერების მოსაწყობად	მ3	14986.00	1.00	14986.00
6	საიზოლაციო გრუნტის კავალიერების ფორმირება III კატ. გრუნტში, ბულდოზერით, გრუნტის გადატანით 30მ-მდე მოცულობით ბუნებრივ, შემკვრივებულ მდგომარეობაში	მ3	14986.00	1.00	14986.00
7	საიზოლაციო გრუნტის კავალიერების ფერდობების მოშანდაკება, III კატ. გრუნტში ექსკავატორით	მ2	6487.00	1.00	6487.00
	სულ, თავი I-ის ჯამი				113113.55
	თავი II. გზები და მოედნები				
	გზები				
1	გზების და მოედნების ქვიშა-ხრეშოვანი ქვედა ფენის (ქვესაგები) მოწყობა სისქ. 40 სმ	მ3	780.00	10.00	7800.00
2	გზებისა და მოედნების ღორღის (ფრაქციული 0-40 მმ) ზედა ფენის მოწყობა სისქ.15 სმ	მ3	293.00	20.00	5860.00
	მოედნები (სამეურნეო ზონა)				0.00
3	გზებისა და მოედნების ღორღის (ფრაქციული 0-40 მმ) ზედა ფენის მოწყობა სისქ.15 სმ	მ3	165.00	20.00	3300.00
	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის სამარაგო კავალიერები				0.00
4	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის კავალიერების ფორმირება (III კატ.), ბულდოზერით, გრუნტის გადატანით 30მ-მდე მოცულობით ბუნებრივ, შემკვრივებულ მდგომარეობაში	მ3	255.00	1.00	255.00
5	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის კავალიერების ფერდობების მოშანდაკება, (III კატ.) ექსკავატორით	მ2	341.00	1.00	341.00
	სულ, თავი II-ის ჯამი				17556.00
	თავი III. არსებული დაცვითი ნაგებიობები (ბუნკერები)				
1	არსებული დაცვითი ნაგებობების რკინაბეტონის გადახურვის ფილეების ჩანგრევა	მ3	86.00	6.00	516.00
	სულ, თავი III-ის ჯამი				516.00
	I - III თავების ჯამი				131185.55
		4%			5247.42
	სულ				136432.97
	გეგმიური მოგება	4%			5457.32
	სულ				141890.29

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა #2

ობიექტი: ქ. ახალციხის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის რეაბილიტაციის სამუშაოები

შემოღობვის რეაბილიტაცია

#	სამუშაოს დასახელება	განზ.	მოცულ.	ღირებულება, ლარი	
				ერთ.	სულ
1	2	3	4	5	6
	თავი I. ღობის ახალი მონაკვეთი				
1	**მავთულბადიანი ლითონის ღობის, სიმაღლით 1.50მ, არსებული მონაკვეთის დემონტაჟი**	**გრძ. მეტრი.**	**125.00**	5.00	625.00
2	**III კატ. გრუნტის დამუშავება ორმოებში ხელით**	**მ3**	**14.30**	16.00	228.80
3	**IIIკატ. დამუშავებული, ზედმეტი გრუნტის მოსწორება ტერიტორიაზე ბულდოზერით, გადაადგილებით 30მ-მდე**	**მ3**	**14.30**	1.00	14.30
4	**ტერიტორიის (ღობის ტრასის 2,0 მ სიგანის ზოლის) მოშანდაკება ხელით, III კატ. გრუნტში**	**მ2**	**630.00**	1.00	630.00
5	**მონ. ბეტონის (B20) წერტილოვანი საძირკველის მოწყობა**	**მ3**	**14.30**	210.00	3003.00
6	**მავთულბადიანი ლითონის ღობის მოწყობა, სიმაღლით 1.50მ.**	**გრძ. მეტრი.**	**315.00**	5.00	1575.00
	დგარი, ფოლადის მილი Ø60X3მმ.	მეტრი	338.20	15.00	5073.00
	ფოლადის ფურც. სისქით 3მმ	ტონა	0.0147	2500.00	36.75
	ა-III კლასის არმატურა (დ=10მმ)	ტონა	0.0517	2500.00	129.25
	ფოლადის მოთუთიებული მავთული, დ=4მმ.	მეტრი	1087.00	0.80	869.60
	ბადე მოთუთიებული მავთულის, უჯრედის ზომით 50X50მმ. მავთ. დიამეტრით 2.5მმ	მ2	472.50	7.34	3468.15
	ელექტროდი, 3მმ	კგ	29.90	5.00	149.50
7	**ღობის ფოლადის დგარების დაფარვა ანტიკოროზიული გრუნტით, 2 ფენად (100+100=200მკრ)**	**მ2**	**64.00**	5.00	320.00
8	**ჭიშკარის მოწყობა, ზომით - 5,30 X 1.50 მ.**	**ც.**	**1.00**	250.00	250.00
	ლითონის დგარები, კვ.მილი 100X100X4მმ. 2X2,7=	მეტრი	5.40	50.00	270.00
	ა-III კლასის არმატურა (დ=10მმ) 2X0,0005=	ტონა	0.001	2500.00	2.50
	კარებების ჩარჩოები, კვ. მილი 60X40X3მმ	მეტრი	21.85	20.00	437.00
	კარებების ჩარჩოები, კვ. მილი 40X40X3მმ	მეტრი	5.96	15.00	89.40
	კვადრატული ფოლადის ღერო 16X16მმ	მეტრი	53.78	5.00	268.90
	ფოლადის ფურც. სისქით 4მმ 2X0,00038=	ტონა	0.00076	2500.00	1.90
	ფოლადის ფურც. სისქით 3მმ	ტონა	0.00144	2500.00	3.60
	ე.წ. ქვის სამსხვრევის ბადე, შავი ლითონის მავთულის, უჯრედის ზომით 50X50მმ. მავთ. დიამეტრით 2.5მმ	კვ.მ.	7.87	15.00	118.05
	ფოლადის ანჯამები	ცალი	8	10.00	80.00
	ფოლადის ურდულები ჭიშკრისათვის (დიდი ზომის)	ცალი	3	10.00	30.00
	ფოლადის საბოქლომეები	ცალი	2	10.00	20.00
	ლითონის საჭრელ-სახეხი დისკოები	ცალი	2	10.00	20.00
	ელექტროდი, 3მმ	კგ	5.31	5.00	26.55
9	**ჭიშკრის დაფარვა ანტიკოროზიული გრუნტით, 2 ფენად (100+100=200მკრ)**	**მ2**	**8.00**	5.00	40.00
	სულ, თავი I-ის ჯამი				**17780.25**
	თავი II. ღობის და ჭიშკრის სამღებრო სამუშაოები (არსებული და ახალი)				
1	**ფოლადის ზედაპირების (ღობის დგარების) შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2-ფენად**	**მ2**	**210.00**	5.00	1050.00
	სულ, თავი II-ის ჯამი				**1050.00**
	I - II თავების ჯამი				**18830.25**

	ზედნადები ხარჯები	4%			753.21
	ჯამი				19583.46
	გეგმიური მოგება	4%			783.34
	სულ				**20366.80**

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა #3

ობიექტი: ქ. ახალციხის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის რეაბილიტაციის სამუშაოები

ფანჩატური

#	სამუშაოს დასახელება	განზ.	მოცულ.	ღირებულება, ლარი	
				ერთ.	სულ
1	2	3	4	5	6
	თავი I. მიწის სამუშაოები				
1	III კატ. გრუნტის დამუშავება ხელით	მ3	**11.00**	16.00	176.00
2	III კატ. გრუნტის უკუჩაყრა ხელით	მ3	**6.00**	16.00	96.00
3	III კატ. ზედმეტი გრუნტის მოსწორება ტერიტორიაზე ბულდოზერით, გადაადგილებით 30მ-მდე	მ3	**5.000**	1.00	5.00
	სულ, თავი I-ის ჯამი				**277.00**
	თავი II. რკინაბეტონის საძირკველი				
1	ღორღის საგები ფენის მოწყობა სისქ. 20სმ, საძირკვლების ქვეშ	მ3	**0.70**	30.00	21.00
2	მონ. რ/ბ წერტილოვანი საძირკველის მოწყობა, ბეტონი B20	მ3	**0.90**	210.00	189.00
	ა-III კლასის არმატურა	ტონა	0.013	2500.00	32.50
3	საანკერო ჭანჭიკების მოწყობა წერტილოვან საძირკველში	ტონა	**0.056**	2500.00	140.00
	სულ, თავიII-ის ჯამი				**382.50**
	თავი III. რკინაბეტონის იატაკი				
1	ღორღის საგები ფენის მოწყობა სისქ. 5სმ, იატაკის ფილის ქვეშ	მ3	**1.00**	30.00	30.00
2	ქვიშა-ხრეშოვანი საგები ფენის მოწყობა სისქ.10სმ, იატაკის ფილის ქვეშ	მ3	**1.90**	10.00	19.00
3	მონ. რკინაბეტონის იატაკის მოწყობა, ბეტონი B20	მ3	**2.42**	210.00	508.20
	ა-III კლასის არმატურა	ტონა	0.122	2500.00	305.00
4	ტემპერატურული ნაკერების ჩახერხვა ბეტონის იატაკში 4სმ სიღრმეზე, სიგანით-5მმ, შემდგომი შევსებით საჰერმეტიზაციო მასალით (პოლიურეტანის ზონარი და ცვეთამედეგი თხევადი რეზინის პასტა)	მ	**5.80**	10.00	58.00
5	ბეტონის იატაკის მოხეხვა მოსარკინი ფხვნილით	მ2	**19.20**	6.00	115.20
	სულ, თავი III-ის ჯამი				**1035.40**
	თავი IV. ლითონის კარკასი				
1	ფანჩატურის ფოლადის კონსტრუქციების (სვეტები, კოჭები, სახურავისა და კედლის შემოსვის გრძივები) მონტაჟი	ტონა	**0.809**	2500.00	2022.50
	ფოლადის კონსტრუქციები,სვეტები. (დემონტირებულის მეორადი გამოყენება)	ტონა	0.257	0.00	0.00
	ფოლადის კონსტრუქციები,კოჭები, სახურავის გრძივები. (დემონტირებულის მეორადი გამოყენება)	ტონა	0.552	0.00	0.00
	ელექტროდი, 4მმ	კგ	19.74	5.00	98.70
2	მაგიდისა და სკამების ფოლადის კონსტრუქციების მოწყობა	მ2	**2.00**	50.00	100.00

	კვადრატული მილი 60X60X3,5მმ (დემონტირებულის მეორადი გამოყენება)	მეტრი	2.70	0.00	0.00
	ფოლადის კუთხოვანა 50X50X4 მმ (დემონტირებულის მეორადი გამოყენება)	მეტრი	6.20	0.00	0.00
	ფოლადის ფურც. სისქით 10მმ (დემონტირებულის მეორადი გამოყენება)	ტონა	0.024	0.00	0.00
	ელექტროდი, 3მმ	კგ	1.70	5.00	8.50
3	ფოლადის კონსტრუქციების დაფარვა ანტიკოროზიული გრუნტით, 2ფენად (100+100=200მკრ)	მ2	36.00	5.00	180.00
4	ფოლადის კონსტრუქციების დეკორატიული შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2-ფენად, ანტიკოროზიულ შეღებვაზე	მ2	36.00	5.00	180.00
	სულ, თავი IV-ის ჯამი				468.50
	თავი V. სახურავის და ჭერის შემოსვა.				
1	სახურავის მოწყობა თუნუქის პროფილირებული ფენილისაგან	მ2	24.90	10.00	249.00
	პროფილირებული ფენილი, ფერადი მოთუთიებული თუნუქის, სისქით 0.5მმ, წიბოს სიმაღლით არანაკლებ_35მმ (დემონტირებულის მეორადი გამოყენება)	მ2	24.90	0.00	0.00
	თვითმჭრელი "შურუპი";, რეზინის საყელურით	ცალი	224	0.30	67.20
2	სახურავის კეხის და საცრემლეების მოწყობა გლუვი თუნუქით	მ2	7.84	10.00	78.40
	გლუვი, ფერადი მოთუთიებული თუნუქი, სისქით 0.5მმ (დემონტირებულის მეორადი გამოყენება)	მ2	7.84	0.00	0.00
	მოქლონი, უჟანგავი	კგ	0.39	5.00	1.95
3	ჭერის შემოსვა ხის ლამბრით	მ2	28.00	10.00	280.00
	ხის ლამბრი (ფიცარი სისქით 35 მმ, სამონტაჟო კბილითა და ღარით), წიწვოვანი მერქნის ჯიშის (დემონტირებულის მეორადი გამოყენება)	მ2	28.00	0.00	0.00
	თვითმჭრელი "შურუპი";, 3X50მმ	ცალი	238	0.30	71.40
4	ხის კონსტრუქციების გასუფთავება და დაფარვა ანტისეპტიკური, აალების საწინააღმდეგო ხსნარით, 2-ფენად, ყველა მხრიდან	მ2	63.00	5.00	315.00
5	ხის კონსტრუქციების ანტისეპტირებული, ხილული ზედაპირების დაფარვა ზეთოვანი ლაქით, 2-ფენად	მ2	28.00	5.00	140.00
	სულ, თავი V-ის ჯამი				1202.95
	თავი VI. მაგიდისა სკამების მოპირკეთება				
1	სკამების შემოსვა ხის ძელებით	მ	32.20	10.00	322.00
	ხის ძელი 100X60მმ (დემონტირებულის მეორადი გამოყენება)	მ3	0.193	0.00	0.00
	თვითმჭრელი "შურუპი", 5X80მმ	ცალი	90	0.30	27.00
2	ხის ძელების გასუფთავება და დაფარვა ანტისეპტიკური, აალების საწინააღმდეგო ხსნარით, 2-ფენად, ყველა მხრიდან	მ2	10.30	5.00	51.50
3	ხის ძელების ანტისეპტირებული, ხილული ზედაპირების დაფარვა ზეთოვანი ლაქით, 2-ფენად	მ2	6.50	5.00	32.50
3	მაგიდის მონ. რკინაბეტონის ფილის მოწყობა, ბეტონი B20	მ3	0.12	210.00	25.20
	ა-III კლასის არმატურა	ტონა	0.018	2500.00	45.00
4	მაგიდის ბეტონის ზედაპირის მოხეხვა მოსარკინი ფხვნილით	მ2	1.98	6.00	11.88

	სულ, თავი VI-ის ჯამი				**515.08**
	I - VI თავების ჯამი				**3881.43**
	ზედნადები ხარჯები	4%			155.26
	ჯამი				4036.69
	გეგმიური მოგება	4%			161.47
	სულ				**4198.15**

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა #4

ობიექტი: ქ. ახალციხის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის რეაბილიტაციის სამუშაოები

ელ. სამონტაჟო სამუშაოები ფანჩატურზე

#	სამუშაოს დასახელება	განზ.	მოცულ.	ღირებულება, ლარი	
				ერთ.	სულ
1	2	3	4	5	6
	თავი I. ნაგებობების განათების შიდა ქსელების რეაბილიტაცია (ფარდული და ფანჩატური, საპირფარეშო)				
1	ახალი ლედ-სანათების მონტაჟი, ხაზოვანი ტიპის 60ვტ. ტენშეუღწევი (ფარდული და ფანჩატური)	ც.	**2.00**	50.00	100.00
2	ახალი სპილენძის სადენის, განივკვეთით 2X2,5მმ2, გაყვანა არსებულ ფოლადის და ახალ პლასტმასის დამცავ მილებში	გრძ.მ.	**10.00**	10.00	100.00
3	ახალი პლასტმასის დამცავი მილების მონტაჟი, დ=30 მმ.	გრძ.მ.	**10.00**	**10.00**	100.00
	სულ, თავი I-ის ჯამი				**300.00**
	თავი II. შიდასამოედნო ელ. ქსელის მონტაჟი				
1	ახალი სპილენძის სადენის, განივკვეთით 2X2,5მმ2, გაყვანა ახალ პლასტმასის დამცავ მილებში, ტრანშეაში	გრძ.მ.	**30.00**	10.00	300.00
2	ახალი პლასტმასის დამცავი მილების მონტაჟი, დ=30 მმ, ტრანშეაში	გრძ.მ.	**30.00**	10.00	300.00
	სულ, თავი II-ის ჯამი				**600.00**
	თავი III. საერთო სამშენებლო სამუშაოები ელ. ქსელებისათვის				
1	გრუნტის (IIIკატ.) დამუშავება ექსკავატორით, ადგილზე დაყრით	მ3	**20.00**	3.00	60.00
2	III კატ. გრუნტის შემდგომი დამუშავება ტრანშეაში ხელით	მ3	**2.00**	16.00	32.00
3	III კატ. გრუნტის უკუჩაყრა ხელით, ტრანშეაში.	მ3	**22.00**	16.00	352.00
	სულ, თავი III-ის ჯამი				**444.00**
	I - III თავების ჯამი				**1044.00**
	ზედნადები ხარჯები	4%			41.76
	ჯამი				1085.76
	გეგმიური მოგება	4%			43.43
	სულ				**1129.19**

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა # 5

ობიექტი: ქ. ახალციხის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის რეაბილიტაციის სამუშაოები

სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების სამღებრო სამუშაოები

#	სამუშაოს დასახელება	განზ.	მოცულ.	ღირებულება, ლარი	
				ერთ.	სულ
1	2	3	4	5	6
1	ფოლადის ზედაპირების შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2-ფენად	მ2	**73.00**	5.00	365.00

	სულ				**365.00**
	ზედნადები ხარჯები	4%			14.60
	ჯამი				379.60
	გეგმიური მოგება	4%			15.18
	სულ				**394.78**

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა #6

ობიექტი: ქ. ახალციხის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის რეაბილიტაციის სამუშაოები

ინფრასტრუქტურული ობიექტების დემონტაჟი დმანისის პოლიგონზე და გადმოტანა

#	სამუშაოს დასახელება	განზ.	მოცულ.	ღირებულება, ლარი	
				ერთ.	სულ
1	2	3	4	5	6
	თავი I. ინფრასტრუქტურული ობიექტების დემონტაჟი (დმანისის პოლიგონზე)				
1	**მანქანა-მექანიზმების ფარდულის შენობის მიწისზედა ნაწილის დემონტაჟი (სამშ. მოცულობით)**	**მ3**	**160.00**	3.00	480.00
2	**ფანჩატურის შენობის მიწისზედა ნაწილის დემონტაჟი (სამშ. მოცულობით)**	**მ3**	**68.00**	6.00	408.00
3	**საპირფარეშოს შენობის მიწისზედა ნაწილის დემონტაჟი (სამშ. მოცულობით)**	**მ3**	**6.00**	6.00	36.00
4	**სასმელი წყლის სამარაგო ავზის და ხელსაბანის დემონტაჟი**	**კომპ.**	**1.00**	150.00	150.00
	სულ, თავი I-ის ჯამი				**1074.00**
	თავი II. ინფრასტრუქტურული ობიექტების ტრანსპორტირება დმანისის პოლიგონიდან ახალციხის პოლიგონამდე 250 კმ-ზე				
1	**მანქანა-მექანიზმების ფარდულის შენობის მიწისზედა ნაწილის ტრანსპორტირება და დასაწყობება სამშ. მოედანზე**	**ტ**	**3.30**	50.00	165.00
2	**ფანჩატურის შენობის მიწისზედა ნაწილის ტრანსპორტირება**	**ტ**	**2.10**	50.00	105.00
3	**საპირფარეშოს შენობის მიწისზედა ნაწილის ტრანსპორტირება და დასაწყობება სამშ. მოედანზე**	**ტ**	**2.05**	50.00	102.50
4	**სასმელი წყლის სამარაგო ავზის და ხელსაბანის ტრანსპორტირება და დასაწყობება სამშ. მოედანზე**	**ტ**	**0.30**	50.00	15.00
5	**კონტეინერის ტიპის სადარაჯო ჯიხურის ტრანსპორტირება და დასაწყობება სამშ. მოედანზე**	**ტ**	**4.00**	50.00	200.00
	სულ, თავი II-ის ჯამი				**587.50**
	I - II თავების ჯამი				**1661.50**
	ზედნადები ხარჯები	4%			66.46
	ჯამი				1727.96
	გეგმიური მოგება	4%			69.12
	სულ				**1797.08**

ქ. ასპინძის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

შენაკრები ხარჯთაღრიცხვა

ქ. ასპინძის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის რეაბილიტაციის სამუშაოები

#	საფუძველი	დასახელება	ღირებულება, ლარი
		თავი I.	
		მშენებლობის ძირითადი ობიექტები	
1	ლოკალური ხარჯთაღრიცხვა #1	ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება და საფარები	**68355.12**
2	ლოკალური ხარჯთაღრიცხვა #2	**შემოღობვის რეაბილიტაცია**	**7292.33**
3	ლოკალური ხარჯთაღრიცხვა #3	სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების სამღებრო სამუშაოები	**995.07**
		სულ, თავი I	**76642.52**
		გაუთვალისწინებელი ხარჯები, 3.0%	**2299.28**
		სულ	**78941.80**
		დ. ღ. გ. 18.0%	14209.52
		სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	**93151.32**

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა #1

ობიექტი: ქ. ასპინძის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის რეაბილიტაციის სამუშაოები

ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება და საფარები

#	სამუშაოს დასახელება	განზ.	მოცულ.	ღირებულება, ლარი	
				ერთ.	სულ
1	2	3	4	5	6
	თავი I. სამუშაოები პროექტირებისა და მშენებლობის პერიოდში (4.0 თვე) შეზიდული გადანაყარების მოსწორებაზე				
1	**მყარი გადანაყარების (IIკატ.) დამუშავება ბულდოზერით, გადაადგილებით 80 მ-მდე, ტერიტორიაზე განაწილებით (1100 მ3 X 4.0თვე=4400 მ3)**	**მ3**	**4400.00**	1.00	4400.00
2	**მყარი გადანაყარების შემკვრივება ვიბროსატკეპნით, 30სმ სისქის ფენებად, ერთ ადგილზე ოთხი გავლით, მორწყვის გარეშე. (მოცულობით შემკვრივებულ მდგომარეობაში: 4.4/3=1.467 მ3)**	**მ3**	**1467.00**	1.00	1467.00
	სულ, თავი I-ის ჯამი				**5867.00**
	თავი II. მიწის სამუშაოები პოლიგონის მოედნის ვერტიკალურ გეგმარებაზე				

1	მყარი ნარჩენებისა და გრუნტის ნარევის (IIIკატ.) დამუშავება ბულდოზერით, გადაადგილებით ყრილში, 80-მ მანძილზე, ყრილში	მ3	**2429.00**	1.00	2429.00
2	მყარი ნარჩენებისა და გრუნტის ნარევის შემკვრივება ყრილში ვიბროსატკეპნით, 30სმ სისქის ფენებად, ერთ ადგილზე ოთხი გავლით, მორწყვის გარეშე. (მოცულობით შემკვრივებულ მდგომარეობაში: 2429/1,171=2075 მ3)	მ3	**2075.00**	1.00	2075.00
	სულ, თავი II-ის ჯამი				**4504.00**
	თავი III. მიწის სამუშაოები ნარჩენების იზოლაციაზე და საიზოლაციო გრუნტის სამარაგე კავალიერების მოწყობაზე				
1	გრუნტის (IIIკატ.) დამუშავება ექსკავატორით, ადგილზე დაყრით	მ3	**6693.00**	3.00	20079.00
2	საიზოლაციო გრუნტის (III კატ.) გადატანა და მოსწორება, ბულდოზერით, 110 მ-მანძილზე	მ3	**2427.00**	1.00	2427.00
3	საიზოლაციო გრუნტის შემკვრივება ვიბროსატკეპნით, ერთ ადგილზე ოთხი გავლით, მორწყვის გარეშე.	მ3	**2427.00**	1.00	2427.00
4	საიზოლაციო გრუნტის ფენის ზედაპირის მოშანდაკება	მ2	**8089.00**	0.35	2831.15
5	გრუნტის (III კატ.) გადატანა , ბულდოზერით, 110 მ-მანძილზე, სამარაგე კავალიერების მოსაწყობად	მ3	**4266.00**	1.00	4266.00
6	საიზოლაციო გრუნტის კავალიერების ფორმირება III კატ. გრუნტში, ბულდოზერით, გრუნტის გადატანით 30მ-მდე მოცულობით ბუნებრივ, შემკვრივებულ მდგომარეობაში	მ3	**4266.00**	1.00	4266.00
7	საიზოლაციო გრუნტის კავალიერების ფერდობების მოშანდაკება, III კატ. გრუნტში ექსკავატორით	მ2	**2154.00**	1.00	2154.00
	სულ, თავი III-ის ჯამი				**38450.15**
	თავი IV. გზები და მოედნები				
	გზები				
1	გზების და მოედნების ქვიშა-ხრეშოვანი ქვედა ფენის (ქვესაგები) მოწყობა სისქ. 40 სმ	მ3	**536.00**	10.00	5360.00
2	გზებისა და მოედნების ღორღის (ფრაქციული 0-40 მმ) ზედა ფენის მოწყობა სისქ.15 სმ	მ3	**201.00**	20.00	4020.00
	მოედნები (სამეურნეო ზონა)				0.00
3	გზებისა და მოედნების ღორღის (ფრაქციული 0-40 მმ) ზედა ფენის მოწყობა სისქ.15 სმ	მ3	**52.80**	20.00	1056.00
	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის სამარაგო კავალიერები				0.00
4	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის კავალიერების ფორმირება (III კატ.), ბულდოზერით, გრუნტის გადატანით 30მ-მდე მოცულობით ბუნებრივ, შემკვრივებულ მდგომარეობაში	მ3	**102.00**	1.00	102.00
5	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის კავალიერების ფერდობების მოშანდაკება, (III კატ.) ექსკავატორით	მ2	**137.00**	1.00	137.00
	სულ, თავი IV-ის ჯამი				**10675.00**
	თავი V. წყალსაწრეტი არხები				
1	წყალსაწრეტი არხების ამოსუფთავება ხელით, IIIკატ. გრუნტში	მ3	**167.00**	16.00	2672.00
2	წყალსაწრეტი არხების ფერდოების და ძირის მოშანდაკება ხელით, IIIკატ. გრუნტში	მ2	**696.00**	1.00	696.00
3	III კატ. Არხებიდან გამონამუშევარი გრუნტის გადატანა ბულდოზერით, 40-მ მანძილზე, ყრილში	მ3	**167.00**	1.00	167.00

4	**გრუნტის (არხებიდან გამონამუშევარი) შემკვრივება ყრილში ვიბროსატკეპნით, 30სმ სისქის ფენებად, ერთ ადგილზე ოთხი გავლით, მორწყვის გარეშე.**	**მ3**	**167.00**	1.00	167.00
	სულ, თავი V-ის ჯამი				**3702.00**
	I ÷ V თავების ჯამი				**63198.15**
	ზედნადები ხარჯები	4%			2527.93
	სულ				65726.08
	გეგმიური მოგება	4%			2629.04
	სულ				**68355.12**

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა #2

ობიექტი: ქ. ასპინძის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის რეაბილიტაციის სამუშაოები

შემოღობვის რეაბილიტაცია

#	სამუშაოს დასახელება	განზ.	მოცულ.	ღირებულება, ლარი	
				ერთ.	სულ
1	2	3	4	5	6
	თავი I. ღობის ახალი მონაკვეთი				
1	**მავთულბადიანი ლითონის ღობის, სიმაღლით 1.50მ, დაზიანებული მონაკვეთის დემონტაჟი**	**გრძ. მეტრი.**	**81.00**	5.00	405.00
2	**III კატ. გრუნტის დამუშავება ორმოებში ხელით**	**მ3**	**5.10**	16.00	81.60
3	**III კატ. დამუშავებული, ზედმეტი გრუნტის მოსწორება ტერიტორიაზე ბულდოზერით, გადაადგილებით 30მ-მდე**	**მ3**	**5.10**	1.00	5.10
4	**ტერიტორიის (ღობის ტრასის 2,0 მ სიგანის ზოლის) მოშანდაკება ხელით, III კატ. გრუნტში**	**მ2**	**238.00**	1.00	238.00
5	**მონ. ბეტონის (B20) წერტილოვანი საძირკველის მოწყობა**	**მ3**	**5.10**	210.00	1071.00
6	**მავთულბადიანი ლითონის ღობის მოწყობა, სიმაღლით 1.50მ.**	**გრძ. მეტრი.**	**119.00**	5.00	595.00
	დგარი, ფოლადის მილი Ø60X3მმ.	მეტრი	126.32	15.00	1894.80
	ფოლადის ფურც. სისქით 3მმ	ტონა	0.0055	2500.00	13.75
	ა-III კლასის არმატურა (დ=10მმ)	ტონა	0.0193	2500.00	48.25
	ფოლადის მოთუთიებული მავთული, დ=4მმ.	მეტრი	410.60	0.80	328.48
	ბადე მოთუთიებული მავთულის, უჯრედის ზომით 50X50მმ. მავთ. დიამეტრით 2.5მმ	მ2	178.50	7.34	1310.19
	ელექტროდი, 3მმ	კგ	11.20	5.00	56.00
7	**ღობის ფოლადის დგარების დაფარვა ანტიკოროზიული გრუნტით, 2 ფენად (100+100=200მკრ)**	**მ2**	**24.00**	5.00	120.00
	სულ, თავი I-ის ჯამი				**6167.17**
	თავი II. ღობის და ჭიშკრის სამღებრო სამუშაოები (არსებული და ახალი)				
1	**ფოლადის ზედაპირების (ღობის დგარების) შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2-ფენად**	**მ2**	**115.00**	5.00	575.00
	სულ, თავი II-ის ჯამი				**575.00**
	I - II თავების ჯამი				**6742.17**
	ზედნადები ხარჯები	4%			269.69
	ჯამი				7011.86
	გეგმიური მოგება	4%			280.47
	სულ				**7292.33**

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა # 3

ობიექტი: ქ. ასპინძის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის რეაბილიტაციის სამუშაოები

სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების სამღებრო სამუშაოები

#	სამუშაოს დასახელება	განზ.	მოცულ.	ღირებულება, ლარი	
				ერთ.	სულ
1	2	3	4	5	6
	თავი I. ლითონის ზედაპირები				
1	**ფოლადის ზედაპირების შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2-ფენად**	**მ2**	**140.00**	5.00	700.00
	სულ, თავი I-ის ჯამი				**700.00**
	თავი II. ხის ზედაპირები				
2	**ხის ზედაპირების დაფარვა ზეთოვანი ლაქით, 2-ფენად**	**მ2**	**44.00**	5.00	220.00
	სულ, თავი II-ის ჯამი				**220.00**
	I - II თავების ჯამი				**920.00**
	ზედნადები ხარჯები	4%			36.80
	ჯამი				956.80
	გეგმიური მოგება	4%			38.27
	სულ				**995.07**